



გამოცემის თარიღი: Date of Issue: 23.06.20.	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 23.06.20.	მოქმედების ვადა: უვადო Valid till: Permanent
<p>მიზანი: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ელექტროდანადგარებთან მუშაობისას, კუთვნილი და დაქირავებული ავტომობილების, ტვირთამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენება</p> <p>Purpose (of implementing): Utilization of owned and rented vehicles, trucks and mechanisms during the working process with electrical facilities of JSC “Energo-Pro Georgia”</p>		
დოკუმენტის ტიპი: ბრძანება Type of Document: Order	რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: 2020020	
<p>სათაური: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ელექტროდანადგარებთან მუშაობისას, კუთვნილი და დაქირავებული ავტომობილების, ტვირთამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენების შესახებ</p> <p>Title: On utilization of owned and rented vehicles, trucks and mechanisms during the working process with electrical facilities of JSC “Energo-Pro Georgia”</p>		
დამტკიცებულია: Approved by: ხელმძღვანელის თანამდებობა Position of Manager: სახელი: Name:	გენერალური დირექტორი General Director მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze	ხელმოწერა: Signature: თარიღი: Date:

<p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის #340 დადგენილების „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ შესაბამისად, სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ს (შემდგომში კომპანია) ელექტროდანადგარების ღია გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიაზე (ღგმ) და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში (სეგხ) ავტომობილების, ტვირთაშე მანქანებისა და მექანიზმების უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით,</p>	<p>With the purpose to carry out safe operation of vehicles, trucks and mechanisms in electricity transmission lines' protection zone (ETL) and outdoor switchgear territory (OS) of electrical facilities of JSC "Energo-Pro Georgia" (hereinafter the "company"), in accordance with the resolution No 340, December 17, 2013 of Government of Georgia "Safety technique rules during the exploitation of electrical facilities",</p>
<p style="text-align: center;">ვბრძანებ:</p>	<p style="text-align: center;">I ORDER</p>
<p>1. კომპანიის ელექტრული ქსელების ღგმ-ში და სეგხ-ის დაცვის ზონაში ავტომობილის, ტვირთაშე მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა, აგრეთვე მათი დაყენება და მუშაობა განხორციელდეს სამუშაოს ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.</p>	<p>1. Movement of vehicle, trucks and mechanisms in outdoor switchgear and electricity transmission lines' protection zone of company electrical networks their placement and operation shall be implemented under supervision of work manager.</p>
<p>2. ღგმ-ში და სეგხ-ის ქვეშ მოძრაობის დროს ტვირთაშე მანქანებისა და მექანიზმების ამწევი და გამოსაწევი ნაწილები უნდა იმყოფებოდეს სატრანსპორტო მდგომარეობაში.</p>	<p>2. Lifting and sliding parts of trucks and mechanisms during the movement in outdoor switchgear and under electricity transmission lines should be in transportation condition.</p>
<p>3. სამუშაო ადგილის ფარგლებში სწორ ადგილებში დასაშვებია ტვირთაშე მანქანების გადაადგილება აწეული მუშა ორგანოთი, მაგრამ ამწევ ან გამოსაწევ ნაწილებზე ტვირთისა და ადამიანის გარეშე, თუ არ არის საჭირო მოძრაობა გამოურთავი სალტებისა და სეგხ-ის სადენების ქვეშ. ღგმ-ში მოძრაობის სიჩქარე განისაზღვრება ადგილობრივი პირობებით, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს 10 კმ/სთ-ს.</p>	<p>3. Move of trucks in right areas/places within the working place scope is allowed with the lifted operating body but without load on lifting or sliding parts and people, if moving under non disconnected bus bars and electricity transmission lines' wires is not required. Moving speed in outdoor switchgear is determined with the local terms but it should not exceed 10 km/h.</p>
<p>4. სამუშაო ადგილზე ამწის დაყენებისას სამუშაოს ხელმძღვანელმა ან სამუშაოს მწარმოებელმა დამშვებთან და ამწის მძღოლთან ერთად უნდა განსაზღვროს ისრის გადაადგილების აუცილებელი სექტორი, რომელიც სამუშაოს დაწყებამდე უნდა შემოიფარგლოს დროებითი შემოღობვის ლენტებით, ხოლო ღამით -სასიგნალო მასშუქებით.</p>	<p>4. During the placement of lifting mechanisms, work manager or work processor shall determine needed sector of arrow movement together with the person who permits and driver of the lifting mechanism that should be limited with the temporary fencing taps before the work is started and with alarm lights at night hours.</p>
<p>5. აკრძალულია ისრიანი ტვირთაშე მექანიზმების დაყენება და მუშაობა 35 კვ-ის ჩათვლით ძაბვის ქვეშ მყოფი სეგხ-ის სადენების ქვეშ. ტვირთაშე მანქანები (მექანიზმები) გამოსაწევ საბრჯუნებზე უნდა დააყენოს და მისი მუშა ორგანო სატრანსპორტოდან გადაიყვანოს სამუშაო მდგომარეობაში იმ მემანქანემ, რომელიც მას მართავს. აკრძალულია ამ პროცესში სხვა პირების ჩართვა.</p>	<p>5. Placement/parking of truck mechanisms with arrows and their operation is forbidden under electricity transmission lines' wires under 35 kv voltage (including). Placing of truck vehicles (mechanisms) on sliding abutments and moving of its operating body from transport to the working condition should be done by that unit operator who governs/operates it. Involvement of other persons in this process is forbidden.</p>

<p>6. ავტომობილების, ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობის, დაყენების და მუშაობის დროს ამწევი და გამოსაწევი ნაწილებიდან, ჯამბარიდან (ჩასაბმელებიდან), ტვირთდამჭერი მოწყობილობიდან, ტვირთებიდან მანძილი ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე არ უნდა იყოს: - 1 მ-ზე ნაკლები 35 კვ-მდე ძაბვისთვის; - 1,5 მ-ზე ნაკლები 110 კვ ძაბვისთვის.</p>	<p>6. During the moving, placements and operation of vehicles, truck vehicles and mechanisms, distance from lifting and sliding parts, hooking, load catcher to the current transient parts under voltage should not be less than 1 m for up to 35 kv and not less than 1, 5 m for 110 kv voltage.</p>
<p>7. აკრძალულია ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მუშაობისას ასაწევი ტვირთის, ტელესკოპური კალათის ქვეშ, აგრეთვე დასაჭიში სადენების (გვარლების), საბრჯენების, სამაგრების და მომუშავე მექანიზმების უშუალო სიახლოვეს (5 მ-ზე ახლოს) ადამიანების ყოფნა.</p>	<p>7. It is forbidden for people to be near the cargo to be lifted, under telescope basket, also catching wires/rope, abutments/ anchors and operating mechanisms (close than 5 m).</p>
<p>8. დაუშვებელია ტვირთამწე მანქანების მუშაობა ქარის დროს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ტვირთების ან ტვირთებისაგან თავისუფალი გვარლის ან ბაგირის მიახლოება ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებთან დასაშვებ მანძილზე ახლოს.</p>	<p>8. Operation of cargo/load lifting mechanisms during the windy weather is forbidden. It might cause getting close of the cargos or free rope from the cargo and the rope to the current carrying parts under voltage to the closer point than is admissible.</p>
<p>9. მოქმედ ელექტროდანადგარებში ტვირთამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენებით მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განწყისით.</p>	<p>9. Operating of cargo/load lifting machines and mechanisms in acting electrical facilities shall be proceeded upon work order.</p>
<p>10. მძღოლებს, მემანქანებს, მემანქანეებს, ჩაბმელებს, რომლებიც მუშაობენ მოქმედ ელექტროდანადგარებში ან სეგბ-ების დაცვის ზონაში უნდა ჰქონდეთ არანაკლებ II ჯგუფი.</p>	<p>10. Drivers, hoisters, machinists, hooking mechanism that operate in acting electrical facilities or in air electricity transmission lines' protection zone shall have II category/group</p>
<p>11. ღამ და სეგბ-ს დაცვის ზონაში სამუშაოს დაწყებამდე დაქირავებულ მძღოლებს, მემანქანებს და მემანქანეებს ჩაუტარდეს შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, (ადგილობრივ თავისებურებათა და სამუშაო უბანზე საშიში ფაქტორების გათვალისწინებით), ინსტრუქტაჟი დაფიქსირდეს ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში.</p>	<p>11. Before operating is started in outdoor switchgear and air electricity transmission lines' protection zone, introductory instructions in labor safety issues (foreseeing the local characters and hazardous factors at working areas) are conducted for drivers, hoisters and machinists. Instruction shall be stated in registration log of instruction.</p>
<p>12. დაუშვებელია კომპანის ელექტროტექნიკური პერსონალის მიერ ელექტრული ქსელების ღამ-ში და სეგბ-ის დაცვის ზონაში დაქირავებული კერძო მფლობელობაში მყოფი ავტოკომპიუტერების მართვა კალათაში არსებული სამართავი პულტიდან.</p>	<p>12. Control/Govern of rented auto derrick under private possession in outdoor switchgear of electrical networks and air electricity transmission lines' protection zone by company electrical technical personnel from control desk in the basket is forbidden.</p>
<p>13. თუ კომპანიის ელექტრული ქსელების ღამ-ში და სეგბ-ის დაცვის ზონაში ავტომობილის, ტვირთამწე მანქანების ან/და მექანიზმების მუშაობა მიმდინარეობს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს უნდა გააჩნდეს ელექტროუსაფრთხოების II საკვალიფიკაციო ჯგუფი.</p>	<p>13. If the operation of vehicles, truck machines or/and mechanisms in outdoor switchgear and air electricity transmission lines' protection zone of company electrical networks is under process upon service agreement, than driver of transportation facility shall have the II qualification group of electrical safety.</p>

<p>14. დასაშვებია წინამდებარე ბრძანების მე-13 პუნქტით განსაზღვრულ პირს (მძღოლს) მიენიჭოს ელექტროუსაფრთხოების II საკვალიფიკაციო ჯგუფი კომპანიის შესაბამისი საგამოცდო-საკვალიფიკაციო კომისიის მიერ 1 წლის ვადით, შემდეგი მოთხოვნების დაცვით:</p>	<p>14. It is permitted that the person (driver) specified by paragraph 13 of this order to be conferred with the II qualification group of electrical safety by corresponding exam qualification commission observing the bellow given requirements for 3 months period.</p>
<p>14.1. უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა კომპანიის პოლიგონებზე ან მოქმედ გამორთულ სეგზ-ზე;</p>	<p>14.1. Shall have passed corresponding theoretical and practical training at company polygons or acting disconnected air electricity distribution line.</p>
<p>14.2. უნდა ჰქონდეს ჩაბარებული ზეპირი გამოცდა ღმ-ში და სეგზ-ის დაცვის ზონასთან და მინიმალური მიახლოების მანძილებთან დაკავშირებით.</p>	<p>14.2. Shall have verbal exam related to the minimal approach distance and outdoor switchgear and air electricity transmission line's protection zone.</p>
<p>15. 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში, აგრეთვე საჰაერო ხაზების დაცვის ზონის გარეთ სხვადასხვა გამოსაწევნაწილებიანი ამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენებით მუშაობისას სამუშაოს ხელმძღვანელი, როგორც წესი, არ ინიშნება.</p>	<p>15. In electric facilities up to 1000 volt, also outside the air lines' protection zone, while working by using the different lifting mechanisms and machines with sliding parts, work manager as a rule is not assigned/appointed.</p>
<p>15.1. 0,4 კვ ძაბვის საჰაერო ხაზებზე იზოლირებულ საკიდელიანი ამწეკალათით მუშაობის დროს ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების სამუშაოები, აგრეთვე ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის მიერ, აღრიცხვის კვანძიდან გამავალი მომხმარებლის დაზიანებული საჰაერო განშტოების აღდგენისას ინიშნება სამუშაოს ხელმძღვანელი, რომლის სამუშაო ადგილზე ყოფნის ვალდებულებას განსაზღვრავს განწესის გამცემი.</p>	<p>15.1 During the work by insulated yoke basket on 0,4kv voltage air lines, connection works of new customers to the network, also by the operational or operative-repairing personnel, at restoring the damaged air branch outgoing from metering knot work manager is appointed, whose obligation to be at work place is determined by the person who issued the work order.</p>
<p>15.2. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული სამუშაოები (სამუშაოს ეტაპები) აუცილებელია შესრულდეს სამუშაოს ხელმძღვანელის ზედამხედველობით და მართვით, განწესის გამცემმა უნდა გააკეთოს ჩანაწერი აღნიშნულის თაობაზე განწესის სტრიქონში – „ცალკეული მითითებები“.</p>	<p>15.2. In case when certain works (work stages) are necessarily for fulfillment with the work manager supervision and management, work issuer should make a record on the mentioned in the column of work order – “certain indications”.</p>
<p>16. ძაბვის ქვეშ მყოფი საჰაერო ხაზის დაცვის ზონაში მუშაობა დაქირავებული სხვადასხვა გამოსაწევნაწილებიანი ამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენებით, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ მანძილი ჰაერში ძაბვის ქვეშ მყოფ უახლოეს სადენებამდე მანქანიდან (მექანიზმიდან) ან მისი გამოსაწევი ან ამწევი ნაწილებიდან, აგრეთვე მისი მუშა ორგანოდან ან ასაწევი ტვირთის ყველა მდგომარეობიდან (მათ შორის, ყველაზე მაღლა აწევის ან გამოწევის დროს) არ უნდა იყოს: - 1, 5 მ-ზე ნაკლები 1 კვ-მდე ძაბვის ხაზებისთვის; 2 მ-ზე ნაკლები - 35 კვ-მდე ძაბვის ხაზებისთვის; 4 მ-ზე ნაკლები - 110 კვ ძაბვის ხაზებისთვის.</p>	<p>16. Operating in air transmission line' protection zone under voltage with rented different sliding parts of lifting machines and mechanisms is permitted only with that condition when the distance from machine to the nearest/closest wires under voltage in the air or from its lifting part of sliding part, also from its working body or all condition of lifting cargo (among this at highest lifting or sliding) should not be less than 1,5 m for lines up to 1 kv voltage. Less than 2 m for lines up to 35 kv voltage and less than 4 m for lines up to 110 kv voltage.</p>

<p>17. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს კომპანიის ტრანსპორტის განყოფილებაში, ყველა სადისპეტჩეროში, სადღეღამისო ქვესადგურებში, ფილიალებში და მომსახურების ცენტრებში.</p>	<p>17. This order shall be published in all dispatch offices of the company, 24 hours substations, Transport Divisions, branches and service centers.</p>
<p>18. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბრძანება - „OR2018039 - ელექტროდანადგარებთან მუშაობისას კომპანიის და დაქირავებული ავტომობილების, ტვირთამწე მანქანების, მექანიზმების გამოყენების შესახებ“.</p>	<p>18. „OR2018039 – On utilization of owner and rented vehicles, trucks and mechanisms during the working process with electrical facilities of JSC “Energo-Pro Georgia” to be announced as annuled</p>
<p>19. წინამდებარე ბრძანების კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისთვის გაცნობა დაევალოს კომპანიის კანცელარიას.</p>	<p>19. Introduction of this order to the company structural entities shall be assigned to the company chancellery.</p>